კომერციული ფართის იჯარის ხელშეკრულება
21 სექტემბერი 2016 წელი

მუხლი 1.ხელშეკრულების არსებითი რეკვიზიტები:

1.1.	ბანკი/მოიჯარე სს "თიბისი ბანკი" საიდენტიფიკაციო კოდი - 204854595 მისამართი: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის N7 წარმომადგენელი: მინდობილი პირი ალექსანდრე თედიაშვილი პ/ნ 01024030791 (გენერალური დირექტორის მოადგილის ვანო ბალიაშვილის პ/ნ 01008014806 მიერ 10.03.2016წელს გაცემული N70-107-12 მინდობილობა)
1.2.	მეიჯარე შპს ,,დინო 2007'' საიდენტიფიკაციო კოდი - 202390858 მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 42, ფაქტობრივი მისამართი ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 42 წარმომადგენელი: დირექტორი მიხეილ ხუნდაძე ,პ/ნ 01024025924 ანგარიშის რეკვიზიტები: სს ,,თიბისი ბანკი'' ანგარიშის # GE46TB1110436020100001
1.3.	ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღი: ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან.
1.4.	ხელშეკრულების მოქმედების ვადა: 120 (ას ოცი) თვე იმ შემთხვევაში, თუ იჯარის საგნით სარგებლობის ვადის გასვლამდე 30 (ოცდაათი) დღით ადრე არც ერთი მხარე მეორე მხარის წინაშე წერილობით არ გამოთქვამს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ურთიერთობის შეწყვეტის სურვილს, იჯარის საგნით სარგებლობის ვადა ავტომატურად გაგრძელდება ერთი წლით. იგივე წესი იმოქმედებს იჯარის საგნით სარგებლობის ვადის ყოველი შემდგომი გაგრძელებისას.
1.5.	ყოველთვიური საიჯარო ქირა: პირველი ექვსი თვის განმავლობაში 2 850 (ორი ათას რვაას ორმოცდაათი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის ოდენობით, გადახდის დღისთვის არსებული ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად, ყველა გადასახადის ჩათვლით, ხოლო ყოველი შემდეგი თვის საიჯარო ქირა იქნება 5 700 (ხუთი ათას შვიდასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის ოდენობით, გადახდის დღისთვის არსებული ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად, ყველა გადასახადის ჩათვლით.
1.6.	ყოველთვიური საიჯარო ქირის გადახდის თარიღი: არაუგვიანეს შესაბამისი საანგარიშო თვის 15 რიცხვისა, წარმოდგენილი ინვოისის ან/და ანაგრიშფაქტურის საფუძველზე, რომლიც წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი საანგარიშო/მიმდინარე თვის 13 რიცხვამდე (8.3. პუნქტის გათვალისწინებით).
1.7.	იჯარის საგანი: ქ. თბილისში, ევგენი მიქელაძის ქუჩა N9გ, მდებარე 1022.00 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები საერთო ფართით 427.60 კვ.მ; აქედან საოფისე ფართი - 201,3 კვ.მ, კომერციული ფართი - 191,4 კვ.მ, საზაფხულო ფართი - 12,7 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართი - 22,2 კვ.მ.
1.8.	საიჯარო ფართის რეკვიზიტები: საკადასტრო კოდი: 01.13.03.023.062

მეიჯარე

მოიჯარე

მუხლი 2. წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

2.1. საიჯარო ფართი/საიჯარო ქონება - 1.7 მუხლში მითითებული საგანი.

2.2. საიჯარო ქირა - ფულადი თანხა. პირველი მუხლით განსაზღვრული თანხა, რომელსაც ბანკი უხდის მეიჯარეს იჯარის საგნით სარგებლობის სანაცვლოდ;

2.3. მხარე - მეიჯარე ან ბანკი კონტექსტის შესაბამისად;

2.4. მხარეები - მეიჯარე და ბანკი ერთდროულად;

2.5. მესამე პირი - ნებისმიერი იურიდიული ან ფიზიკური პირი, მხარეების გარდა;

2.6. იჯარის საგნის უპირატესი შესყიდვის უფლება - საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 516-ე მუხლით გათვალისწინებული და წინამდებარე აქტით დადგენილი პრივილეგია, რომელიც ბანკის აძლევს საშუალებას, ამავე აქტით გათვალისწინებული პირობების არსებობისას სხვა მყიდველებთან შედარებით პირველ რიგში ისარგებლოს იჯარის საგნის შესყიდვის უფლებით;

2.7. იჯარის საგნის იჯარის უფლებით მიღების უპირატესი უფლება – მხარეთა შორის შეთანხმებული ბანკის პრივილეგია, რომელიც ბანკის აძლევს საშუალებას, ამავე აქტით გათვალისწინებული პირობების არსებობისას სხვა მოიჯარეებთან შედარებით პირველ რიგში ისარგებლოს იჯარის საგნის იჯარის უფლებით;

2.8. წინამდებარე აქტში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვთ საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი მნიშვნელობა.

მუხლი 3. ხელშეკრულების საგანი

3.1. მეიჯარე გადასცემს ბანკს იჯარის უფლებით მის საკუთრებაში არსებულ იჯარის საგანს.

3.2. მოიჯარე ვალდებულია გამოიყენოს იჯარის საგანი ამ ხელშეკრულებით შეთანხმებული დანიშნულებით და გადაუხადოს მეიჯარეს შეთანხმებული საიჯარო ქირა.

მუხლი 4. იჯარის საგნით სარგებლობა

4.1. ბანკის მხრიდან იჯარის საგნით სარგებლობის მიზანია **სს „თიბისი ბანკის" ფილიალის/განყოფილების/სერვის-ცენტრის/ოფისის ფუნქციონირება,** რისთვისაც ხელშეკრულების საფუძველზე, ბანკი განახორციელებს იჯარის საგნის შესაბამის სარემონტო/სარეკონსტრუქციო და აღჭურვით სამუშაოებს.

4.2. მეიჯარისათვის ცნობილია დანიშნულება, რომლისთვისაც გამიზნულია საიჯარო ფართის გამოყენება და აღნიშნულზე იგი თანახმაა.

4.3. მეიჯარე თანახმაა, ბანკმა საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს საიჯარო ფართზე (ინტერიერზე ან/და ექსტერიერზე) მიმდინარე, კოსმეტიკური სახის სარემონტო სამუშაოების ჩატარება. მითითებული სამუშაობეის ჩატარება არ საჭიროებს დამატებით ნებართვას მეიჯარის მხრიდან. სარემონტო სამუშაოებისთვის საჭირო ყველა სახის ლიცენზიებსა და ნებართვებს მოიპოვებს ბანკი. ხოლო კაპიტალური სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება საჭიროებს მეიჯარესთან წინასწარ შეთნხმებას.

4.4. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მეიჯარე თანახმაა, რომ ბანკმა საკუთარი ხარჯებით განათავსოს იჯარის საგანზე ან/და მის შიგნით ნებისმიერი სახის სარეკლამო მატარებელი (მათ შორის სარეკლამო აბრები, დაფები, ფირნიშები), რომელიც არ ცდება საბანკო საქმიანობას.

4.5. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მეიჯარე თანახმაა, რომ ბანკმა იჯარის საგანი გასცეს ქვეიჯარით მხოლოდ საბანკო და ამასთან დაკავშირებული საქმიანობის ფარგლებში.

4.6. 4.3 და 4.4 პუნქტით გათვალისიწწებული უფლების მოიჯარის მიერ გამოყენების დროს, საჭიროების შემთვევაში ყველა სათანადო საშუალებით (მათ შორის შესაბამისი საბუთების ხელმოწერით) დაეხმაროს მოიჯარეს შესაბამისი ნებართვ(ებ)ის ან უფლებ(ებ)ის მიღებაში.

მუხლი 5. საიჯარო ქონების გადაცემა

5.1. მეიჯარის მხრიდან ბანკზე საიჯარო ქონების გადაცემა წარმოებს წერილობითი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტში აისახება საიჯარო ქონების მდგომარეობა.

5.3. მიღება-ჩაბარების აქტი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

5.4. თუ ბანკი უკვე ფლობს იჯარის საგანს, მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერა სავალდებულო არ არის.

მუხლი 6. უფლებრივად და ქონებრივად უნაკლო იჯარის საგნის გადაცემის შესახებ

მეიჯარე

მოიჯარე

6.1. იჯარის საგანი საკუთრების უფლებით ეკუთვნის მეიჯარეს, რაც დადასტურებულია ამონაწერით საჯარო რეესტრიდან.

6.2. იჯარის საგანს არ ადევს ყადაღა და არ არის დატვირთული საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლებით, რაც დადასტურებულია ამონაწერით საჯარო რეესტრიდან.

6.3. მეიჯარის განცხადებით, მარტივი წერილობითი ან ზეპირი გარიგებით მესამე პირისათვის იჯარის საგანი არ არის გადაცემული სარგებლობის (ქირავნობის, იჯარის ან სხვა მსგავსი ხასიათის) უფლებით;

6.4. მეიჯარე ადასტურებს, რომ იჯარის საგანს არ აქვს ისეთი დაფარული ნაკლი, რისი არსებობაც შეამცირებდა იჯარის საგნის ღირებულებას, ან ხელს შეუშლიდა იჯარის საგნის დანიშნულებისამებრ გამოყენებას;

6.5. მეიჯარემ ბანკს კეთილსინდისიერებით სრულად გააცნო იჯარის საგნის მდგომარეობა გადაცემის მომენტისათვის;

6.6. ბანკი ადასტურებს, რომ მისთვის ცნობილია იჯარის საგნის მდგომარეობა და მისაღებია იჯარის საგნის ხარისხი, იმ სახით, რა სახითაც იჯარის საგანი არსებობს წინამდებარე აქტის გაფორმებისას, დაფარული ნაკლის გაუთვალისწინებლად.

მუხლი 7. იჯარის საგნის უფლებრივი ან/და ნივთობრივი ნაკლის აღმოჩენის სამართლებრივი შედეგები

7.1. მთელი საიჯარო პერიოდის განმავლობაში მეიჯარე იძლევა საიჯარო საგნის ვარგისიანობის, უფლებრივი და ნივთობრივი უნაკლოობის, ასევე მდგრადობის გარანტიას.

7.2. თუ საგარანტიო პერიოდში იჯარის საგანს აღმოაჩნდება ნაკლი, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის მხარეთათვის არ შეიძლება ყოფილიყო ცნობილი, ბანკი ვალდებულია ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს მეიჯარეს. იგივე წესი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, თუ მესამე პირი გამოთქვამს რაიმე უფლებრივ პრეტენზიას; ასეთ შემთხვევაში მეიჯარე ვალდებულია თავისი ხარჯით აღმოფხვრას იჯარის საგნის ნაკლი;

7.3. თუ საგარანტიო პერიოდში მეიჯარე დააყოვნებს ნაკლის გამოსწორებას, ბანკი უფლებამოსილია თავისი ხარჯით აღმოფხვრას ნაკლი და მოითხოვოს ნაკლის აღმოფხვრის მიზნით გაწეული ხარჯების ანაზღაურება;

მუხლი 8. საიჯარო ქირისა და პირგასამტეხლოს შესახებ

8.1. საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების 1.5. პუნქტის შესაბამისად, ყველა გადასახადების ჩათვლით.

8.2. ქირის გადახდა წარმოებს ექვივალენტი ლარის ოდენობით, გადახდის დღისთვის არსებული ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის შესაბამისად, მეიჯარის საბანკო ანგარიშზე თანხების ჩარიცხვის გზით.

8.3. საიჯარო ქირის ათვლა და გადახდის ვალდებულება წარმოიქმნება საიჯარო ფართის გადაცემის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის მომენტიდან.

8.4. საიჯარო ქირის გადახდა იწარმოება, უნაღდო ანგარიშსწორების წესით, შესაბამისად ყოველი თვის არაუგვიანეს, წინამდებარე ხელშეკრულების 1.6. პუნქტით განსაზღვრული თარიღისა.

8.5. მხარეებს შეუძლიათ განახორციელონ ანგარიშსწორება ურთიერთგაქვითვის საფუძველზეც, ბანკის მიერ მეიჯარისათვის გაწეული სხვა მომსახურების ღირებულების ხარჯზე.

8.6. იმ შემთხვევაში, თუ მეიჯარის ბრალით გამოწვეული იჯარის საგნის ნივთობრივი ან უფლებრივი ნაკლის გამო, ბანკი დაკარგავს სრულფასოვანი სარგებლობის შესაძლებლობას, იგი გათავისუფლდება იჯარის ქირის გადახდის ვალდებულებისაგან იმ პერიოდის განმავლობაში, როცა მას არა აქვს იჯარის საგნით სრულფასოვანი სარგებლობის საშუალება. თუ ბანკს იჯარის საგნით სარგებლობაში დაბრკოლება შეექმნება თავისივე ბრალეული ქმედებით, იგი საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულებისაგან არ თავისუფლდება.

8.7. მოიჯარეს უფლება აქვს ამ ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი მეიჯარის ვალდებულებების შესრულების მიზნით, მეიჯარის შემდგომი თანხმობის, ან ნებართვის გარეშე, ასეთი ვალდებულების წარმოშობის შემდეგ ნებისმიერ დროს, უაქცეპტო წესით ჩამოწეროს შესაბამისი თანხები მეიჯარის ნებისმიერი ანგარიშიდან. სხვადასხვა ვალუტაში თანხის ჩამოწერის შემთხვევაში ექვივალენტი განისაზღვრება სს "თიბისი ბანკის" მიერ თანხის ჩამოწერის მომენტისათვის დადგენილი კურსით.

მუხლი 9. საიჯარო ქირის შეცვლის საფუძვლები და პირობები

მეიჯარე

მოიჯარე

9.1. საიჯარო ქირა შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით და ძალაში შედის მხოლოდ იგივე ფორმის დაცვის შემთხვევაში, რასაც ითვალისწინებს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმება.

9.2. მხარეები ადასტურებენ, რომ მათ სრულფასოვნად აქვთ გათვალისწინებული და გააჩნიათ შესაბამისი სწორი წარმოდგენა იჯარის საგნის შესაძლო საიჯარო საბაზრო ღირებულების შეცვლის ან/და ვალუტის კურსის ცვლილების ან/და ინფლაციის შესახებ.

9.3. მხარეები განმარტავენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 5 (ხუთი) წლის გასვლის შემდეგ მხარეთა მიერ განხორციელდება იჯარის ქირის ოდენობის გადახედვა. იჯარის ქირის ოდენობას განსაზღვრას ერთი მეიჯარის მიერ განსაზღვრული და ერთი მოიჯარის მიერ განსაზღვრული ექსპერტი/შემფასებელი. თუ მხარეები ვერ შეთანხმდნენ ქირის ოდენობაზე, ასეთ შემთვევაში ქირის ოდენობას განსაზღვრავს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიური მხარეთა მიმართვის საფუძველზე.

მუხლი 10. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

10.1. ბანკი ვალდებულია:

10.1.1. გადაიხადოს საიჯარო ქირა წინამდებარე ხელშეკრულების მე-8 მუხლით დადგენილი წესით.

10.1.2. გაუფრთხილდეს იჯარის საგანს და უზრუნველყოს მისი მოვლა-პატრონობა. ამ წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს ქირავნობის საგნის ნორმალური ცვეთა და ბუნების დაუძლეველი ძალით ზიანის მიყენება.

10.1.3. დაფაროს მიმდინარე ხარჯები, რაც დაკავშირებულია იჯარის საგნით სარგებლობისა და მის ჯეროვნად მოვლასთან; ასევე იჯარის საგნის სარგებლობისას წარმოქმნილი კომუნალური ხარჯები.

10.1.4. უზრუნველყოს იჯარის საგნის მიმდინარე რემონტის ჩატარება საკუთარი ხარჯებით.

10.1.5. მეიჯარესთან წინასწარი შეთანხმების გარეშე არ მოახდინოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული საქმიანობის მიმართულების შეცვლა.

10.2. მეიჯარე ვალდებულია:

10.2.1. გადასცეს ბანკს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო იჯარის საგანი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე (რომელიც იქნება წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი) არაუგვიანეს ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 3 დღის განმავლობაში. აღნიშნული ვალდებულების დარღვევის შემთვევაში, მეიჯარე ვალდებულია გადაუხადოს ბანკს პირგასამტეხლო (საურავი) საიჯარო ქირის 1 % პროცენტის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. 10 (ათი) დღიანი ვადაგადაცილების შემთვევაშ ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად ვადამდე შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება.

10.2.2. გაუწიოს ბანკს საკონსულტაციო და ყველა სხვა სახის დახმარება საიჯარო ქონების ეფექტურად გამოყენებისათვის.

10.2.3. ფართის გადაცემამდე გადაიხადოს ამ ფართზე დარიცხული ყველა სახის (კომუნალური) გადასახადი, წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია, იჯარის გადასახადიდან გამოქვითოს აღნიშნული გადასახადები.

10.2.4. შეუფერხებლად დაუშვას ბანკი საიჯარო ფართში. უზრუნველყოს საიჯარო ფართი ელექტროენერგიით წყალ-მომარაგებით, ბუნებრივი გაზით, კანალიზაციით, და ყველა საჭირო კომუნიკაციით; და მისცეს საშუალება ბანკს შეუფერხებლად ისარგებლოს აღნიშნულით. თავისი მიზეზით არ დაუშვას ბანკის მიერ იჯარის ფართით სარგებლობის უფლების შეზღუდვა.

10.2.5. ითმინოს იჯარის საგნის მიმართ ბანკის მიერ გატარებული ზემოქმედებანი, რაც აუცილებელია იჯარის საგნის მიმართ თავისი უფლებებისა და ვალდებულებების განსახორციელებლად.

10.2.6. მეიჯარე ვალდებულია იჯარის საგნის გასხვისების შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეატყობინოს მოიჯარეს აღნიშნული ფაქტის შესახებ, მიაწოდოს ახალი მესაკუთრის და ასევე მისი საბანკო ანაგრიშის რეკვიზიტები (კუმულატიური პირობა). აღნიშნული ინფორმაციის მოიჯარისათვის მიწოდების ვალდებულება ვრცელდება მეიჯარის უფლებამონაცვლეზეც. მეიჯარის ან/და მისი უფლებამონაცვლის მიერ ამ პუნქტით გათვალისიწნებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, მოიჯარე შეაჩერებს საიჯარო ქირის გადახდას, თუ მისთვის ცნობილი გახდება იჯარის საგნის გასხვისების ფაქტი, რაც არ ჩაითვლება მის მიერ ვალდებულების დარღვევად და ამ პერიოდის განმავლობაში მოიჯარე მიიჩნევა იჯარის საგნის მართლზომიერ მფლობელად.

10.2.7. 10.2.6 პუნქტის გათვალისწინებით, თუ მოიჯარე მოგვიანებით შეიტყობს იჯარის საგნის გასხვისების ფაქტს, რა დროსაც საიჯრო ქირა უკვე ჩარიცხული იქნება მეიჯარისათვის (ძველი მესაკუთრისათვის),

აღნიშნული გადახდა ჩაითვლება ჯეროვან შესრულებად, ხოლო შემდეგი გადახდებისათვის იმოქმედებს 10.2.6 პუნქტით დადგენილი დანაწესი.

10.2.8. წარუდგინოს მოიჯარეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში ყველა ის დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ იჯარის საგანი, ნამდვილად წარმოადგენს მეიჯარის საკუთრებას და რომ მესამე პირებს არ გააჩნიათ უფლებები ქირავნობის საგანზე, კერძოდ ძალაში მყოფი განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში მოიჯარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10.2.9. მეიჯარის (უმრავი ქონების მესაკუთრის) ვალდებულების შესასრულებლად ქონების იძულებითი წესით აუქციონზე რეალიზაციის შემთხვევაში, იჯარის ხელშეკრულებით მეიჯარის მიერ ნაკისრი ვალდებულებები გადავა ახალ მესაკუთრეზე.

10.2.10. გამოუყოს ბანკს დამატებითი ფართი (10 კვ.მ მიწის ნაკვეთი) გენერატორის განსათავსებლად და მისცეს ყველა შესაძლებლობა დამატებითი ფართის მიზნობრივად სარგებლობისათვის.

მუხლი 11. პირგასამტეხლო დაპასუხისმგებლობა

11.1 ბანკის მიერ 10.1 პუნქტში აღნიშნული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, მეიჯარე უფლებამოსილია დააკისროს ხოლო ბანკი ვალდებულია გადაუხადოს მეიჯარს პირგასამტეხლო (საურავი)საიჯარო ქირის 0.1 % პროცენტის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

11.2 მეიჯარეს მხრიდან 10.2 პუნქტში ან/და 16.4. პუნქტში აღნიშნული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია დააკისროს, ხოლო მეიჯარე ვალდებულია გადაუხადოს ბანკს პირგასამტეხლო (საურავი) საიჯარო ქირის 1 % პროცენტის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

11.3 მეიჯარი მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში (16.2 პუნქტის საფუძველზე შეწყვეტის ჩათვლით), 16.2 პუნქტით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის გარდა, მეიჯარე ვალდებული იქნება აუნაზღაუროს მოიჯარეს ყველა ის ხარჯი, რომელიც მან გაიღო იჯარის საგნის გაუმჯობესებისათვის (რემონტისათვის) და ასევე ბანკი უფლებამოსილია დააკისროს, ხოლო მეიჯარე ვალდებულია გადაუხადოს ბანკს პირგასამტეხლო 300 000 (სამასი ათასი) აშშ დოლარი ექვივალენტ ლარში გადახდის დღისთვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის შესაბამისად.

11.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან, დარღვევათა აღმოფხვრის ვალდებულებისა ან ზიანის ანაზღაურებისაგან.

მუხლი 12. საიჯარო ფართის შემოწმება

12.1. მეიჯარეს უფლება აქვს პირადად ან წამომადგენლის მეშვეობით მოიჯარისათვის წინასწარ 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე, შევიდეს საიჯარო ქონებაში და შეამოწმოს მისი მდგომარეობა და დანიშნულება.

12.2. მეიჯარის მიერ შემოწმების განხორციელების დროს ბანკს ხელი არ უნდა შეეშალოს საიჯარო ქონების დანიშნულებით გამოყენებაში.

12.3. შემოწმებად არ ითვლება, თუ მეიჯარე ეწვევა მოიჯარეს საქმიანი ვიზიტით, როგორც კლიენტი, მოიჯარის თხოვნით ან ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისას.

მუხლი 13. იჯარის საგნის გასხვისების შესახებ

13.1. იჯარის საგნის მესამე პირზე გასხვისების შემთხვევაში იჯარის საგნის ახალი მესაკუთრე ხდება მეიჯარის უფლებამონაცვლე იმ ურთიერთობაში, რომელიც არსებობს წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე.

13.2. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ საქართველოს კანონის ან სხვა მსგავსი შინაარსის საკანონმდებლო აქტის საფუძველზე ექსპროპრიაციის შემთხვევაში, იჯარის საგნის სრული ან ნაწილობრივი ექსპროპრიაციის შედეგად ბანკისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება, ექსპროპრიაციის შედეგად მიღებული ანაზღაურებით, მითითებული კანონისა და ექსპროპრიაციის დროს მოქმედი სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.

მუხლი 14. იჯარის საგნის უპირატესი შესყიდვის უფლება

14.1. მხარეთა შეთანხმებით იჯარის საგნის გასხვისების შემთხვევაში ბანკი სარგებლობს იჯარის საგნის უპირატესი შესყიდვის უფლებით.

14.2. უპირატესი შესყიდვის უფლების რეალიზაციისათვის მეიჯარე ვალდებულია ბანკს წერილობით აცნობოს ნასყიდობის ხელშეკრულების პირობები, შესაძლო მყიდველის ვინაობა, ნასყიდობის ფასი და

გადახდის პირობები, აგრეთვე უფლების განხორციელების ვადა, რომელიც არ შეიძლება იყოს ოცდაათ დღეზე ნაკლები.

14.3. ბანკი ვალდებულია უფლების განხორციელების ვადის გასვლამდე წერილობით აცნობოს მეიჯარეს უფლების გამოყენების, ან უფლებაზე უარის შესახებ. დუმილის შემთხვევაში ჩაითვლება, რომ ბანკმა უარი თქვა უფლების გამოყენებაზე.

მუხლი 15. იჯარის ხელშეკრულების დადების უპირატესი უფლების შესახებ

15.1. წინამდებარე ხელშეკრულების ვადის გასვლიდან ექვსი თვის თანმავლობაში ბანკს აქვს იჯარის საგნის ახალი ვადით იჯარის უფლებით მიღების უპირატესი უფლება. ასეთ შემთხვევაში ანალოგიურად მოქმედებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 516 – 519-ე მუხლები.

15.2. იჯარის უფლებით მიღების უპირატესი უფლების რეალიზაციისათვის მეიჯარე ვალდებულია ბანკს წერილობით აცნობოს იჯარის ხელშეკრულების პირობები, შესაძლო მოიჯარის ვინაობა, იჯარის ქირის ოდენობა და ვადა, აგრეთვე უფლების განხორციელების ვადა, რომელიც არ შეიძლება იყოს 30 დღეზე ნაკლები;

15.3. ბანკი ვალდებულია უფლების განხორციელების ვადის გასვლამდე წერილობით აცნობოს მეიჯარეს უფლების გამოყენების, ან უფლებაზე უარის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ მან უარი თქვა უფლების გამოყენებაზე.

მუხლი 16. ხელშეკრულების მოქმედების ვადის შეწყვეტა მხარეთა ინიციატივით

16.1. ბანკს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება მეიჯარის ექვსთვიანი წინასწარი გაფრთხილების ვადის დაცვის საფუძველზე;

16.2. მეიჯარის მიერ საიჯარო ხელშეკრულების ცალმხრივად ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში მეიჯარე ვალდებულია ექვსი თვით ადრე წერილობით აცნობოს ბანკს ამის შესახებ და აუნაზღაუროს ბანკს სხვა ადგილზე გადასვლით გამოწვეული ხარჯი და 11.3 პუნქტით განსაზღვრული თანხები.

16.3. სხვა ადგილზე გადასვლით გამოწვეული ხარჯებში იგულისხმება ყველა ის ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია ბანკის მიერ ახალ საიჯარო ფართში გადასვლასთან, ახალი საიჯარო ფართის საშუალო-კოსმეტიკური სარემონტო ხარჯები, ასევე ახალ საიჯარო ფართის გაზრდილი ჯამური საიჯარო ქირა, გაანგარიშებული წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის გათვალისწინებით დარჩენილ საიჯარო თვეებზე. ახალი საიჯარო ფართი უნდა შეესაბამებოდეს იგივე საბაზრო-ეკონომიკურ ნიშნულს, რასაც მოიცავდა ძველი იჯარის საგანი.

16.4. სხვა ადგილზე გადასვლით გამოწვეული ხარჯი და 11.3 პუნქტით განსაზღვრული თანხები ექვემდებარება მეიჯარის მხრიდან ბანკისათვის სავალდებულოდ უკან დაბრუნებას ან/და ანაზღაურებას ხელშეკრულების ცალმხრივად ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ მხარის წერილობითი შეტყობინებიდან ერთი თვის განმავლობაში.

16.5. სხვა ადგილზე გადასვლით გამოწვეული ხარჯების და 11.3 პუნქტით განსაზღვრული თანხების ანაზღაურებამდე ბანკი ჩაითვლება იჯარის საგნის მართლზომიერ - კათილსინდისიერ მფლობელად და იტოვებს უფლებას ფლობდეს იჯარის საგანს და არ მოახდინოს მისი მეიჯარისათვის დაბრუნება.

მუხლი 17. იჯარის საგნის დაბრუნება

17.1. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში ბანკი ვალდებულია იჯარის საგანი დაუბრუნოს მეიჯარეს მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად.

17.2. მიღება-ჩაბარების აქტში დეტალურად უნდა აღიწეროს იჯარის საგანში არსებული ინვენტარი, მათი მდგომარეობა.

17.3. იმ შემთხვევაში თუ რომელიმე მხარე უარს აცხადებს ხელი მოაწეროს მიღება-ჩაბარების აქტს, მაშინ ინვენტარიზაციას და იჯარის საგნის მდგომარეობის შეფასებას ახორციელებს ბანკის მიერ შერჩეული დამოუკიდებელი ექსპერტი.

17.4. ბანკი ვალდებულია იჯარის საგანი დაუბრუნოს მეიჯარეს ისეთ მდგომარეობაში, რომელიც შეესაბამება საშუალო სანიტარულ/კოსმეტიკურ ნორმებს. იჯარის საგნის პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის ვალდებულება ბანკს არ წარმოექმნება.

17.5. ბანკის მიერ დამონტაჟებული საგნები, რომლებიც წარმოადგენენ იჯარის საგნის არსებით შემადგენელ ნაწილს, რჩება მეიჯარეს საკომპენსაციო გადასახადის გადახდის ვალდებულების გარეშე. პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის ვალდებულება ბანკს არ წარმოეშობა.

მეიჯარე

მოიჯარე

17.6. ბანკის საკუთრებაში არსებული საკუთვნებელი (ის რითაც აღიჭურვა იჯარის საგანი) რჩება ბანკს. დემონტაჟი და გატანა ხორციელდება ბანკის ხარჯით.

მუხლი 18. გამომრიცხავი გარემოებანი

18.1. მხარეები თავისუფლდებიან ურთიერთვალდებულებებისაგან ფორს-მაჟორული გარემოებების წარმოშობის შემთხვევაში. ამასთანავე, ფორს-მაჟორული გარემოების არსებობა ავტომატურად არ იწვევს ხელშეკრულების გაუქმებას. ფორს მაჟორი არის ნებისმიერი ვითარება ან მოვლენა, რომელიც მეიჯარის ან მოიჯარის კონტროლს არ ექვემდებარება და რომელიც იწვევს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობას, მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ: ომები, ამბოხებები, სამოქალაქო დაუმორჩილებლობა, მიწისძვრა, ხანძარი, აფეთქება, ჭექა-ქუხილი, საჰაერო ხომალდების ავარიები, წყალდიდობები, ქარიშხლები, საკანონმდებლო აქტების, ნებისმიერი სახელმწიფო ორგანოს ქმედებები ან სხვა უბედური შემთხვევები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიონ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა.

18.2. მხარე ვალდებულია, მეორე მხარეს წერილობითი ფორმით აცნობოს ფორს-მაჟორული გარემოებების წარმოშობისა და მისი შემდგომი მოქმედებების შესახებ, ასეთი გარემოებების წარმოშობიდან 72 საათის განმავლობაში.

18.3. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოებების ლიკვიდაციამდე.

18.4. ფორს-მაჟორული გარემოებების 3 თვეზე მეტი ხნით გაგრძელების შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან, განსაზღვრონ ხელშეკრულების გაუქმების ან მისი ფორს-მაჟორულ გარემოებებთან შემდგომი მისადაგების საკითხი.

მუხლი 19. დასკვნითი დებულებანი

19.1. საკითხები, რომლებიც არ არის რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, წყდება მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

19.2. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა პირობა და დებულება ვრცელდება და სავალდებულოა მხარეთა უფლებამონაცვლეთათვის, სამართალმემკვიდრეთათვის, წარმომადგენლისთვის, რწმუნებულისთვის, დამხმარე-მოსამსახურე და მუშაკისათვის.

19.3. ხელშეკრულება ექვემდებარება საჯარო რეესტრში რეგისტრაციას. რეგისტრაციის ხარჯებს გაიღებს ბანკი.

19.4. ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ცვლილება ან/და დამატება ძალაში შედის მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე და მხოლოდ იგივე ფორმის დაცვით, რასაც ითვალისწინებს წინამდებარე ხელშეკრულების დადება.

19.5. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე უფლებების გამოუყენებლობა არ წარმოადგენს ამ უფლებაზე უარის თქმას.

19.6. ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ყველა დავა და უთანხმოება გადაწყდება მოლაპარაკებების გზით. ამ გზით ურთიერთშეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება სასამართლო წესით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ხელშეკრულების საფუძველზე, მხარეთა შეთანხმებით, ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავებზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა მიქცეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268–ე მუხლის 1^1 პუნქტის შესაბამისად..

19.7. ამ ხელშეკრულების ცალკეული პუნქტების გაუქმება ან ბათილობა არ იწვევს დანარჩენი პუნქტების გაუქმებას (სალვატორული მუხლი).

19.8. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი წარედგინება მარეგისტრირებელ ორგანოს, ხოლო დანარჩენი გადაეცემათ მხარეებს.

ხელმოწერები

მეიჯარე

მოიჯარე

შემოვლის ფურცელი

განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 892018128073

განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 15 თებ 2018 09:46



იჯარის უფლების ცვლილების რეგისტრაცია უძრავ ნივთზე

დაინტერესებული პირი: სს'თიბისი ბანკი' /204854595/

მესაკუთრე: //

უძრავი ნივთის მისამართი: ქალაქ თბილისი, ევგენი მიქელაძის ქუჩა #9გ

საკადასტრო კოდი: 01.13.03.023.062

მომსახურების ვადა: 4 დღე

საფასური: 55 ლარი

მიმღები: ბექა საგინაშვილი

15793290

გადახდის ნომერი:

NW15793290

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს

დაინტერესებული პირი: სს'თიბისი ბანკი'
პირადი ნომერი / საიდენტიფიკაციო კოდი: **204854595**

წარმომადგენელი: ბექა საგინაშვილი
პირადი ნომერი: **20001009563**
მისამართი: **საქართველო, ქალაქი თბილისი, აკაკი შანიძეს ქუჩა, N 17**

განცხადების წარმომდგენი: **ბექა საგინაშვილი (შპს რეესტრი+)**
პირადი ნომერი: **20001009563**

განცხადება

მოვითხოვ, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე მოახდინოთ **იჯარის უფლების ცვლილების რეგისტრაცია უძრავ ნივთზე**, მდებარე: **ქალაქ თბილისი, ევგენი მიქელაძის ქუჩა #9გ** [ზონა:თბილისი, სექტორი: დიდუბე] და განცხადების წარმომდგენზე გასცეთ:

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადებას თან ახლავს შემდეგი დოკუმენტები:

1. მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი საბუთი
2. იჯარის უფლების ცვლილების დამადასტურებელი დოკუმენტი
3. ხელშეკრულებაზე ხელმომწერ პირთა პირადი საიდენტიფიკაციო მონაცემები

მომსახურების ვადა: 4 დღე.
საფასური: 55 ლარი.

"საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 6^2 პუნქტის თანახმად მარეგისტრირებელი იურგანო უფლებამოსილია გადააძოწმოს სააგენტოსთვის წარდგენილი საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზის მონაცემების სისწორე და საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემებთან შესაბამისობა.

დაინტერესებული პირი:----------/სს'თიბისი ბანკი'/

წარმომადგენელი:----------/ბექა საგინაშვილი/

განცხადების წარმომდგენი:----------/ბექა საგინაშვილი (შპს რეესტრი+)/

განცხადების წარდგენის თარიღი: 15 ივნ 2018

საგადახდო დავალება # 119811182 Payment Order

15/2/2018 09:32:58

GEL

ს.ს. "თიბისი ბანკის"

თარიღი
Date 15/02/2018

გადამხდელის დასახელება Sender

შპს 'დინო-2007', 202390858

ანგარიში (დებეტი)
Sender's Acc. GE46TB1110436020100001

გადამხდელის ბანკი Sender's Bank

ს.ს. "თიბისი ბანკის" მარჯანიშვილის ფილიალი

ბანკის კოდი Bank Code TBCBGE22

ივსება მხოლოდ სახელმწიფო ხაზინაში გადახდების დროს

გადასახადის გადამხდელის დასახელება

საიდენტიფიკაციო კოდი
Sender's Tax Code

საბიუჯეტო შემოსავლის სახაზ. კოდი
Treasury Code

მიმღების დასახელება Receiver

გაერთიანებული კლირინგ ცენტრი

ანგარიში (კრედიტი)
Receiver's Acc. GE80PC0133600100056698

მიმღების ბანკი Receiver's Bank

ს.ს. "თიბისი ბანკი"

ბანკის კოდი Bank Code MIBGGE22

გადახდის დანიშნულება Operation Details

NAPR;n/a;თანხა:55.00;საკ:1.00

დამატებითი ინფორმაცია Additiional Information

თანხა ციფრებით
Amount in figures

55.00 GEL

თანხა სიტყვიერად
Amount in words

ორმოცდათხუთმეტი ქართული ლარი
00 თეთრი

სოფიო ლორთქიფანიძე

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი
15/02/2018

ხელმოწერა

ხელმოწერები / Signatures

ამ საბუთის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ დეტალურად იცნობს სს "თიბისი ბანკის" ფილიალებსა და ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებულ საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას
ინფორმაცია საკომისიოს შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ბანკის ინტერნეტ გვერდზე: www.tbcbank.ge

შეთანხმება ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

შეთანხმების თარიღი: -- თებერვალი 2018 წ
„ბანკი" ან/და მოიჯარე სს „თიბისი ბანკი" ს/კ 204854595 მისამართი: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის N7 წარმომადგენელი: მინდობილი პირი ალექსანდრე თედიაშვილი პ/ნ 01024030791
„მეიჯარე" შპს „დინო 2007" საიდენტიფიკაციო კოდი - 202390858 მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 42, ფაქტობრივი მისამართი ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 42 წარმომადგენელი: დირექტორი მიხეილ ხუნდაძე პ/ნ 01024025924
ხელშეკრულება 2016 წლის 21 სექტემბრის იჯარის ხელშეკრულება. იჯარის საგნის მისამართი ქ. თბილისი, ევგენი მიქელაძის ქუჩა N9გ; იჯარის საგნის ს/კ 01.13.03.023.062.

1. შეთანხმების საგანი:
   შეთანხმების საგანს წარმოადგენს მხარეთა შორის გაფორმებულ ზემოთხსენებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა.
2. განხორციელებული ცვლილება:
   ზემოთხსენებული ხელშეკრულების **1.7.** მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „1.7. იჯარის საგანი:
   ქ. თბილისში, ევგენი მიქელაძის ქუჩა N9გ, მდებარე 1022.00 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 113 კვ.მ მიწის ნაკვეთი (მიწის ნაკვეთი მოცემულია შესაბამის აზომვით ნახაზზე და საკ. გეგმაზე) და შენობა-ნაგებობა საერთო ფართით 427.60 კვ.მ (აქედან საოფისე ფართი - 201,3 კვ.მ, კომერციული ფართი - 191,4 კვ.მ, სახაფხულო ფართი - 12,7 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართი - 22,2 კვ.მ); უძრავი ქონების ს/კ 01.13.03.023.062."
3. სხვა დებულებები:
   წინამდებარე შეთანხმება ძალაშია მისი ხელმოწერის მომენტიდან და წარმოადგენს ზემოთხსენებული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
   ზემოთხსენებული ხელშეკრულების ყველა სხვა პირობა უცვლელი რჩება და მოქმედებს მის სრულად შესრულებამდე.
   შეთანხმება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ოთხ იურიდიულ ეგზემპლარად, რომლებიც გადაეცათ მხარეებს.

ხელმოწერები

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
შპს „დინო 2007"
თარიღი 15/02/2018
გვ.რაოდენობა 2 ხელმოწერა

ბანკი

მეიჯარე

დანართი 1



დაინტერესებული პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები

პირადი ნომერი	01024025924
სახელი	მიხეილ
მამის სახელი	ვახტანგი
გვარი	ხუნდაძე
დაბადების თარიღი	1977-07-07
დაბადების ადგილი	საქართველო, თბილისი
მისამართი	თბილისი მისამართის გარეშე
პირადობის მოწმობის სერია	17IC92863
მოწმობის გამცემი ორგანო	იუსტიციის სამინისტრო
გაცემის თარიღი	2018-02-01
მოქმედების ვადა	2028-02-01
მოქალაქეობა	საქართველო
რეგ. თარიღი	2018-02-01
სტატუსი	აქტიური

მონაცემების მოწოდების დრო: 15 თებ 2018 09:44

დაინტერესებული პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები

პირადი ნომერი	01024030791
სახელი	ალექსანდრე
მამის სახელი	დავითი
გვარი	თედიაშვილი
დაბადების თარიღი	1966-08-18
დაბადების ადგილი	საქართველო, თბილისი
მისამართი	საქართველო, ქალაქი თბილისი, შალვა ნუცუბიძეს ქუჩა, N 26, ბინა 17
პირადობის მოწმობის სერია	16IA94968
მოწმობის გამცემი ორგანო	იუსტიციის სამინისტრო
გაცემის თარიღი	2017-03-16
მოქმედების ვადა	2027-03-16
მოქალაქეობა	საქართველო
რეგ. თარიღი	2000-02-08
სტატუსი	აქტიური

მონაცემების მოწოდების დრო: 15 თებ 2018 09:44

შემოვლის ფურცელი

განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 882019314597

განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 23 აპრ 2019 17:48



იჯარის უფლების ცვლილების რეგისტრაცია უძრავ ნივთზე

დაინტერესებული პირი: სს თიბისი ბანკი /204854595/ საქართველო, თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, მარჯანიშვილის ქ., №7

მესაკუთრე: //

უძრავი ნივთის მისამართი: ქ. თბილისი, ევგენი მიქელაძის ქუჩა N9გ

საკადასტრო კოდი: 01.13.03.023.062

მომსახურების ვადა: 4 დღე

საფასური: 55 ლარი

მიმღები: ნინო ძოწენიძე

17154181

გადახდის ნომერი:
NW17154181

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს

დაინტერესებული პირი: სს თიბისი ბანკი
პირადი ნომერი / საიდენტიფიკაციო კოდი: **204854595**
საცხოვრებელი / იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, მარჯანიშვილის ქ., **№7**

წარმომადგენელი: კონსტანტინე ბურდილაძე
პირადი ნომერი: **01008010886**
მისამართი: **საქართველო, ქალაქი თბილისი, ილო მოსაშვილის ქუჩა, N 22, ბინა 6**

განცხადების წარმომდგენი: ნინო ძოწენიძე-შპს „რეესტრი+"
პირადი ნომერი: **60001157459**

განცხადება

მოვითხოვ, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე მოახდინოთ **იჯარის უფლების ცვლილების რეგისტრაცია უძრავ ნივთზე**, მდებარე: **ქ. თბილისი, ევგენი მიქელაძის ქუჩა N9გ** [ზონა:თბილისი, სექტორი: დიდუბე] და განცხადების წარმომდგენზე გასცეთ:

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადებას თან ახლავს შემდეგი დოკუმენტები:

1. მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი საბუთი
2. იჯარის უფლების ცვლილების დამადასტურებელი დოკუმენტი
3. ცვლილებაზე ხელმომწერ მხარეთა საიდენთიფიკაციო მონაცემები

მომსახურების ვადა: 4 დღე.
საფასური: 55 ლარი.

"საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 6^2 პუნქტის თანახმად მარეგისტრირებელი ორგანო უფლებამოსილია გადაამოწმოს სააგენტოსთვის წარდგენილი საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზის მონაცემების სისწორე და საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემებთან შესაბამისობა.

დაინტერესებული პირი:----------/სს თიბისი ბანკი/

წარმომადგენელი:----------/კონსტანტინე ბურდილაძე/

განცხადების წარმომდგენი:----------/ნინო ძოწენიძე-შპს „რეესტრი+"/

განცხადების წარდგენის თარიღი: 23 აპრ 2019

საგადახდო დავალება # 1316683062 Payment Order 7/2/2019 15:24:47

GEL

თარიღი Date 07/02/2019

ს.ს. "თიბისი ბანკი"

გადამხდელის დასახელება Sender

სს 'თიბისი ბანკი', 204854595

თანხა ციფრებით Amount in figures

55.00 GEL

ანგარიში (დებეტი) Sender's Acc. GE36TB0000002503000450

გადამხდელის ბანკი Sender's Bank

ს.ს. "თიბისი ბანკი"

ბანკის კოდი Bank Code TBCBGE22

თანხა სიტყვიერად Amount in words

ორმოცდათხუთმეტი ქართული ლარი 00 თეთრი

იცვლება მხოლოდ სახელმწიფო ხაზინაში გადასდების დროს

გადასახადის გადამხდელის დასახელება

საიდენტიფიკაციო კოდი Sender's Tax Code

საბიუჯეტო შემოსავლის სახაზ. კოდი Treasury Code

მიმღების დასახელება Receiver

სატრანზიტო ანგარიში საჯარო რეესტრის სარეგისტრაციო მომსახურების საფასურის

ანგარიში (კრედიტი) Receiver's Acc. GE81TB0000000450109003

მიმღების ბანკი Receiver's Bank

ს.ს. "თიბისი ბანკი"

ბანკის კოდი Bank Code TBCBGE22

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი

07/02/2019

გადახდის დანიშნულება Operation Details

NAPR;270;N/A;თანხა:55.00

დამატებითი ინფორმაცია Additiional Information

რეგისტრაციის საფასური - 07.02.19 დ/თან 14

ხელმოწერა

ხელმოწერები / Signatures

ამ საბუთის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ დეტალურად იცნობს სს "თიბისი ბანკის" ფილიალებსა და ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებულ სებანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას. ინფორმაცია საკომისიოს შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ბანკის ინტერნეტ გვერდზე: www.tbcbank.ge

შეთანხმება
ხელშეკრულებაში ცვლილებების
შეტანის თაობაზე

შეთანხმების თარიღი: 2019 წლის 23 აპრილი

„ბანკი" ან/და მოიჯარე
სს ,,თიბისი ბანკი"
ს/კ 204854595
მისამართი: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის N7
წარმომადგენელი: მინდობილი პირი კონსტანტინე ზურდილაძე (01008010886)

„მეიჯარე"
შპს „დინო 2007"
საიდენტიფიკაციო კოდი - 202390858
წარმომადგენელი: დირექტორი მიხეილ ხუნდაძე პ/ნ 01024025924

ხელშეკრულება
2016 წლის 21 სექტემბრის იჯარის ხელშეკრულება. იჯარის საგანი: 1022.0 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 113 კვ.მ. და შენობა-ნაგებობა საერთო ფართით 427.60 კვ.მ აქედან საოფისე ფართი - 201.3 კვ.მ, კომერციული ფართი - 191.4 კვ.მ, საზაფხულო ფართი - 12.7 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართი - 22.2 კვ.მ. მდებარე: ქ. თბილისი, ევგენი მიქელაძის ქუჩა N9გ; ს/კ 01.13.03.023.062

1. შეთანხმების საგანი:
   შეთანხმების საგანს წარმოადგენს მხარეთა შორის გაფორმებულ ზემოთხსენებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა.
2. განხორციელებული ცვლილება:
   ზემოთხსენებული ხელშეკრულების 1.5 მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „ 1.5 ყოველთვიური საიჯარო ქირა:
   2019 წლის 01 მაისიდან ზემოთხსენებული ხელშეკრულების მოქმედების ვადის ბოლომდე ყოველთვიური საიჯარო ქირა შეადგენ   აშშ დოლარს, ეკვივალენტი ლარის ოდენობით, გადახდის დღისთვის არსებული ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად, ყველა გადასახადის ჩათვლით".
   მხარეები აქვე აღნიშნავენ, რომ 2019 წლის აპრილის სრული თვის ქირა, რაც შეადგენს   აშშ დოლარს, ეკვივალენტი ლარის ოდენობით, ყველა გდასახადის ჩათვლით, ბანკის მიერ უკვე გადახდილია, მხარეთა შორის ზემოთხსენებული იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე. "
3. სხვა დებულებები:
   წინამდებარე შეთანხმება ძალაშია მისი ხელმოწერის მომენტიდან და წარმოადგენს ზემოთხსენებული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
   ზემოთხსენებული ხელშეკრულების ყველა სხვა პირობა უცვლელი რჩება და მოქმედებს მის სრულად შესრულებამდე.
   შეთანხმება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე სამ იურიდიულ ეგზემპლარად, რომლებიც გადაეცათ მხარეებს.

ხელმოწერები

"მოიჯარე"
სს ,,თიბისი ბანკი
კონსტანტინე ზურდილაძე
ბანკი

„მეიჯარე"
შპს „დინო 2007"
მიხეილ ხუნდაძე
მეიჯარე

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
შტამპი №1306
თარიღი "23" აპრილი 2019წ.
გვ.რაოდენობა 1 ხელმოწერა

დაინტერესებული პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები

პირადი ნომერი	01024025924
სახელი	მიხეილ
მამის სახელი	ვახტანგი
გვარი	ხუნდაძე
დაბადების თარიღი	1977-07-07
დაბადების ადგილი	საქართველო, თბილისი
მისამართი	თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 80 ბლოკი ბ ბ. 33
პირადობის მოწმობის სერია	17IC92863
მოწმობის გამცემი ორგანო	იუსტიციის სამინისტრო
გაცემის თარიღი	2018-02-01
მოქმედების ვადა	2028-02-01
მოქალაქეობა	საქართველო
რეგ. თარიღი	2018-09-21
სტატუსი	აქტიური

მონაცემების მოწოდების დრო: 23 აპრ 2019 17:47

დაინტერესებული პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები

პირადი ნომერი	01008010886
სახელი	კონსტანტინე
მამის სახელი	იოსები
გვარი	ბურდილაძე
დაბადების თარიღი	1977-04-15
დაბადების ადგილი	საქართველო, თბილისი
მისამართი	საქართველო, ქალაქი თბილისი, ილო მოსაშვილის ქუჩა, N 22, ბინა 6
პირადობის მოწმობის სერია	13II89697
მოწმობის გამცემი ორგანო	იუსტიციის სამინისტრო
გაცემის თარიღი	2015-04-26
მოქმედების ვადა	2025-04-26
მოქალაქეობა	საქართველო
რეგ. თარიღი	1994-07-09
სტატუსი	აქტიური

მონაცემების მოწოდების დრო: 23 აპრ 2019 17:46

შეთანხმება
ხელშეკრულებაში ცვლილებების
შეტანის თაობაზე

შეთანხმების თარიღი: 2022 წლის 17 ივნისი
ბანკი/მოიჯარე სს "თიბისი ბანკი" საიდენტიფიკაციო კოდი - 204854595 მისამართი: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის N7 წარმომადგენელი: ლიკა სამუშია (პ/ნ: 01017049202)
მეიჯარე შპს ,,დინო 2007" საიდენტიფიკაციო კოდი - 202390858 მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 42, ფაქტობრივი მისამართი ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 42 წარმომადგენელი: დირექტორი - ნათია გაგნიძე, 01022008225
ხელშეკრულება 2016 წლის 21 სექტემბრის იჯარის ხელშეკრულება. იჯარის საგანი: 1022.0 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 113 კვ.მ. და შენობა-ნაგებობა საერთო ფართით 427.60 კვ.მ (აქედან საოფისე ფართი - 201.3 კვ.მ, კომერციული ფართი - 191.4 კვ.მ, საზაფხულო ფართი - 12.7 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართი - 22.2 კვ.მ.) მდებარე: ქ. თბილისი, ევგენი მიქელაძის ქუჩა N9გ; ს/კ 01.13.03.023.062

1. შეთანხმების საგანი:
   შეთანხმების საგანს წარმოადგენს მხარეთა შორის გაფორმებულ ზემოთხსენებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა.
2. განხორციელებული ცვლილება:
   2.1. ზემოთხსენებული ხელშეკრულების 1.4 მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   ,,1.4 ხელშეკრულების მოქმედების ვადა: 2031 წლის 30 სექტემბერი."

   2.2. ზემოთხსენებული ხელშეკრულების 4.3. პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი შემდეგი რედაქციით:
   ,,4.3 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მეიჯარე წინასწარ აცხადებს თანახმობას, რომ ბანკი უფლებამოსილია საკუთარი ხარჯებით განახორციელოს და უზრუნველყოს საიჯარო ფართში (როგორც ინტერიერზე, ასევე ექსტერიერზე) მიმდინარე, კოსმეტიკური სახის სარემონტო სამუშაოების ჩატარება, ხოლო 2022 წლის განმავლობაში ბანკი ასევე უფლებამოსლია განახორციელოს საიჯარო ფართში (როგორც ინტერიერზე, ასევე ექსტერიერზე) ნებისმიერი სახის კაპიტალური სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოების ჩატარება. მითითებული სამუშაოების ჩატარება არ საჭიროებს დამატებით ნებართვას მეიჯარის მხრიდან. მითითებული სამუშაოებისთვის საჭირო ყველა სახის ლიცენზიებსა და ნებართვებს მოიპოვებს ბანკი. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, მოიჯარე აცხადებს, რომ არ ექნება საკუთარი გაწეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. ამასთანავე, მხარეები თანხმდებიან, რომ ნებისმიერი პასუხისმგებლობა, იქნება ეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევა თუ სამოქალაქო დელიქტი, რომელიც შესაძლოა გამოწვეული იქნეს მოიჯარის მიერ წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებით იქნება მოიჯარის პასუხისმგებლობა, კერძოდ, მოიჯარე იქნება ვალდებული გადაიხადოს ნებისმიერი შესაძლო დაკისრებული სანქცია და სრულად აანაზღაუროს ზიანის ის მოცულობა, რომლებიც გამოწვეული იქნება ჩატარებული სამშენებლო თუ სარემონტო სამუშაოებით, ასევე იჯარის საგნის იერსახის ნებისმიერი ცვლილებით.

   2.3. ზემოთხსენებული ხელშეკრულების 9.3 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   ,,9.3 მხარეები განმარტავენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან ყოველი 5 (ხუთი) წლის გასვლის შემდეგ მხარეთა მიერ განხორციელდება იჯარის ქირის ოდენობის გადახედვა. იჯარის ქირის ოდენობას განსაზღვრავს მეიჯარის მიერ განსაზღვრული ერთი და მოიჯარის მიერ განსაზღვრული ერთი ექსპერტი/შემფასებელი. თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან ქირის ოდენობაზე, ასეთ შემთხვევაში ქირის

ბანკი

მეიჯარე

ოდენობას განსაზღვრავს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო მხარეთა მიმართვის საფუძველზე.''

3. წინამდებარე შეთანხმება ძალაშია მისი ხელმოწერის მომენტიდან და წარმოადგენს ზემოთხსენებული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

ზემოთხსენებული ხელშეკრულების ყველა სხვა პირობა უცვლელი რჩება და მოქმედებს მის სრულად შესრულებამდე.

შეთანხმება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე სამ იურიდიულ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი წარედგინება მარეგისტრირებელ ორგანოს, ხოლო დანარჩენი გადაეცემათ მხარეებს.

ხელმოწერები:

"მოიჯარე"
სს ,,თიბისი ბანკი
ლიკა ხამუშია

,,მეიჯარე"
შპს ,,დინო 2007''
ნათია გაგნიძე

ბანკი

მეიჯარე

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 01.13.03.023.062

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია	მომზადების თარიღი
N 882022440787 - 17/06/2022 17:40:56	28/06/2022 09:32:23

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	ღიღუბე		
01	13	03	023/062

მისამართი: ქალაქი თბილისი , ევგენი მიქელაძის ქუჩა N9გ

ნაკვეთის საკუთრების ტიპი:საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 1022.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:**01.13.03.023.060; 01.13.03.023.058; 01.13.03.023.047;**

შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი:N1
საოფისე ფართი: 201.3 კვ.მ.
კომერციული ფართი: 191.4 კვ.მ.
საწარმოო ფართი: 12.7 კვ.მ.
კიბის უჯრედისა და სალარბაშოს ფართი: 22.2 კვ.მ.
შენობა-ნაგებობ(ებ)ის საერთო ფართი: 427.60

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882015686703 , თარიღი 02/12/2015 13:12:26
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 07/12/2015

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:31/03/2010 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- სახელმწიფო ქონების პრივატიზებისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი N41 , დამოწმების თარიღი:02/07/2010 , საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს აუქციონის მომწყობი კომისია
- საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა N1968-ა , დამოწმების თარიღი:02/08/2010 , საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
- საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა N1206 , დამოწმების თარიღი:09/02/2012 , ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქონების მართვის სააგენტო
- საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა N1207 , დამოწმების თარიღი:09/02/2012 , ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქონების მართვის სააგენტო
- გაღაწყვეტილება N M14010119 , დამოწმების თარიღი:18/12/2014 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი (აღმინისტრაციული დაპირება) NE-85-25-4247 , დამოწმების თარიღი:13/01/2012 , ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქონების მართვის სააგენტო
- აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი (აღმინისტრაციული დაპირება) NE-85-24-4246 , დამოწმების თარიღი:13/01/2012 , ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქონების მართვის სააგენტო
- ბრძანება Nბ-12/150211137-16 , დამოწმების თარიღი:20/03/2015 , ქ.თბილისის მერიის მეღამხედველობის საქალაქო სამსახური
- უძრავი ქონების გამიჯვნის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:26/07/2011 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- ღაღგენილება N50/4-146 , დამოწმების თარიღი:13/12/2010 , ქ. თბილისის ღიღუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობა

მესაკუთრეები:
შპს "ღინო 2007" , ID ნომერი:202390858

მესაკუთრე: **აღწერა:**

შპს "ღინო 2007"

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

სარგებლობა

განცხადების რეგისტრაციის ნომერი 892018151171 თარიღი 22/02/2018 09:55:12

მოიჯარე: სააქციო საზოგადოება "თიბისი ბანკი"204854595;
მესაკუთრე: შ.პ.ს " ღინო 2007" 202390858;
საგანი:მიწის ნაკვეთი ღაზუსტებული ფართობი: 1022.00 კვ.მ.-ღან 113 კვ.მ. მიწის ნაკვეთი შენობა-ნაგებობა საერთო ფართით 427.60 კვ.მ. (აქედან საოფისე ფართი -201.3 კვ.მ. კომერციული ფართი -191.4 კვ.მ. საზაფხულო ფართი -12.7 კვ.მ. კიბის უჯრედისა და საღარბაზოს ფართი 22.2 კვ.მ.);
საბოლოო თარიღი:30/09/2031;

უფლების რეგისტრაცია: თარიღი 22/02/2018

კომერციული ფართის იჯარის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი21/09/2016, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ,

შეთანხმება ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ, დამოწმების თარიღი15/02/2018, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

შეთანხმება ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ, დამოწმების თარიღი23/04/2019, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

(რეგ.N882022440787 - 17/06/2022) შეთანხმება ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, დამოწმების თარიღი:17/06/2022, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო,

განცხადების რეგისტრაციის ნომერი 892018164260 თარიღი 26/02/2018 16:31:15

მეიჯარე: შპს "ღინო 2007" 202390858;
მოიჯარე: სააქციო საზოგადოება "ნიკორა ტრეიდი"206255808;
საგანი:მიწის ნაკვეთის ღაზუსტებული ფართობი: 1022.00 კვ.მ.-ღან 154 კვ.მ. ;
ვადა:10 წელი;

უფლების რეგისტრაცია: თარიღი 26/02/2018

იჯარის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი25/12/2017, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ,,

შეთანხმება ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ , დამოწმების თარიღი22/02/2018, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო,

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ–ფოსტით: info@napr.gov.ge